UDC 351.746; 30
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-4-154-166

ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევის მეთოდოლოგიის თავისებურება

ჰენრი კუპრაშვილი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: h.kuprashvili@gtu.ge

რეცენზენტები:

თ. კიკნაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: tamara_kiknadze@yahoo.com

ვ. მოდებაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: modebadzevaleri07@gtu.ge

ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია ეროვნული უშიშროების პრობლემის მეთოდოლოგია. ცნებათა კომპლექსი, რომელიც აღწერს ეროვნული უშიშროების, მასთან დაკავშირებული საშიშროებების (საფრთხეების), რისკების, მუქარებისა და გამოწვევების ერთიან სისტემას და მისთვის წინააღმდეგობის გამწევ კონტრსისტემას, არის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისა და შესწავლის მეთოდოლოგიის პრობლემატიკა. უნდა გაირკვეს, რა ადგილი უჭირავს ეროვნული უშიშროების თეორიას მეცნიერული ცოდნის სისტემაში; მნიშვნელოვანია, განისაზღვროს არა მხოლოდ მისი ურთიერთობა უშუალოდ უშიშროების სპეციალიზებულ თეორიებთან, არამედ ასევე აუცილებელია სოციალურ, ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და სხვა ფუნდამენტურ მეცნიერებებთან მისი ურთიერთობის ნათელყოფაც. უნდა დაზუსტდეს: ეროვნული უშიშროების თეორია სამეცნიერო ცოდნის რომელ სფეროს განეკუთვნება, რომელ მეცნიერებებს ეყრდნობა საკუთრივ მისი მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელ მეცნიერებებთან ურთიერთობს, ხოლო თავად რომლებისთვისაა იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური ორიენტირი. დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული უშიშროების ზოგადი თეორიის სრულყოფილად გააზრებას, რადგანაც იგი საშუალებას იძლევა, ნათლად გამოიკვეთოს საქართვე-

ლოს ეროვნული უშიშროების სფეროსათვის დამახასიათებელი მექანიზმები და პროცესები.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უშიშროება; კონფლიქტოლოგია; მართვის ზოგადი თეორია; მეთოდოლოგია; მეცნიერული ცოდნის სისტემა; სოციალური სისტემა; სისტემების ზოგადი თეორია; სპეციალიზებული თეორია.

შესავალი

ეროვნული უშიშროების თეორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეცნიერული ცოდნის სისტემაში. ეროვნული უშიშროების პრობლემებთან შეხება აქვს არა მხოლოდ პოლიტიკური მეცნიერების, ეკონომიკის, სამხედრო მეცნიერების, სოციოლოგიის, არამედ სხვა მრავალი მეცნიერების სფეროსაც, რომლებიც იკვლევენ ეროვნული უშიშროების საერთო სოციალური სისტემის სტრუქტურულ და ფუნქციურ კომპონენტებს. ეროვნული უშიშროების თეორია განსაკუთრებულად არის დაკავშირებული ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებთან. მისი შინაარსის უმეტესი ნაწილი სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა, თუმცა საინფორმაციო ეპოქამ და უსაზღვრობაში გადასულმა გლობალიზაციამ სრულიად ახალი საფრთხეები და გამოწვევები მოიტანა; მაგალითად, გაჩნდა კიბერსივრცე – თავდაცვის ახალი, თანაბარუფლებიანი სფერო ზღვასთან, ჰაერთან და ხმელეთთან ერთად. შესაბამისად, გაფართოვდა სხვა სამეცნიერო დისციპლინებთან ურთიერთობის არეალი [5].

ზოგადი სტატუსის მიხედვით ეროვნული უშიშროების თეორია მოქმედებს როგორც კვლევის სპეციალური სფერო, რომელიც მიმართულია გადაკვეთაში მყოფი ერთობლივი, კომპლექსური პრობლემის გადაჭრაზე. ეროვნული უშიშროების თეორიის მიერ გამოყენებული ძირითადი კატეგორიებია: უშიშროების ობიექტი და სუბიექტი, უშიშროება, საფრთხე, მუქარა, გამოწვევა, რისკი, სტაბილურობა, ზიანი, ინტერესი, დაცულობა და სხვ. [3].

ძირითადი ნაწილი

ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევის მეთოდოლოგიის საკითხები.

ნებისმიერი საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლისათვის აუცილებელია სწორად შერჩეული მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია უფრო ფართო ცნებაა და მის ფარგლებში შესაძლოა ერთი ან რამდენიმე მეთოდი მოიაზრებოდეს. ეს არის ერთგვარი მიდგომა საკვლევი საკითხისადმი, რომელიც განსაზღვრავს კვლევის მთელ პროცესს, კერძოდ, იმას, თუ რა მეთოდებს გამოვიყენებთ, როგორ დავამუშავებთ და გავაანალიზებთ მიღებულ მონაცემებს. რაც შეეხება მეთოდს, ეს არის ის კონკრეტული გზა, რომელსაც ავირჩევთ კვლევის ობიექტის შესასწავლად. შესაბამისად, მეთოდოლოგია არის თეორიული პრინციპებისა და წესების ერთობლიობა, ხოლო მეთოდი – მიზნის მისაღწევი კონკრეტული პრაქტიკული ხერხი, რომელიც მოიცავს წინასწარ განსაზღვრულ თანამიმდევრულ ნაბიჯებს.

ეროვნული უშიშროების თეორია არის მეცნიერული ცოდნა, რომელიც იძლევა სინამდვილის სპეციფიკის კანონზომიერებებისა და მათი არსებითი კავშირების მთლიანობაში წარმოდგენის საშუალებას. იგი საფუძვლად უდევს უშიშროების სპეციალიზებულ თეორიებს, რომლებიც განიხილავს და

ავითარებს ეროვნული უშიშროების მსოფლმხედველობით, მეთოდოლოგიურ ზოგად საკითხებს და უშიშროების ცალკეულ კონცეფციებს. ეს კონცეფციები კი ქმნის მის სტრუქტურას. ეროვნული უშიშროების თეორიული პრინციპების დონეზე იკვეთება ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ზოგადი სურათი, ყალიბდება პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ღირებულებები, მიზნები და ინტერესები; ისახება უსაფრთხო განვითარების გზები [6].

ეროვნული უშიშროების სპეციფიკის, ზოგადი თეორიის ფორმირებაში მონაწილეობს მეცნიერებების თითქმის ყველა სფერო, მათ შორის პოლიტიკის, სამართალის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, კონფლიქტოლოგიის, ფსიქოლოგიის, სისტემოლოგიის და სხვა მეცნიერებები. ეროვნული უშიშროების თეორია აერთიანებს პოლიტიკურ, სოციალურ, სამხედრო, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და სხვა მეცნიერებებათა გამოყენებით ასპექტებს, რომლებიც სხვადასხვა ხასიათის გარე და შიგა ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედების პირობებში ორიენტირებულია ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის სუბიექტების, პრინციპების, ფორმების, მეთოდების კვლევებზე. ამ მეცნიერებათა დანიშნულება და ამოცანაა: **მსოფლმხედველობრივი საკითხების განხილვა, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობის, პრიორიტეტების, საზღვრების შესახებ კონცეფტუალური იდეების შემუშავება, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრა, მონაწილეობა კონცეფციების ჩამოყალიბებაში** [4].

განსაკუთრებულ როლს ასრულებს **უშიშროების სპეციალური თეორიები, რომლებიც ავლენენ ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების უშიშროების უზრუნველყოფის კონცეფციებსა და მექანიზმებს სხვადასხვა სოციალური სისტემის ფუნქციონირების სფეროში. ეროვნული უშიშროების სპეციალური თეორიებია: ბუნებისდაცვითი (ეკოლოგიური) უშიშროების სპეციალური თეორია; ეკონომიკური უშიშროების სპეციალური თეორია; ინფორმაციული (კიბერ) უშიშროების სპეციალური თეორია; ტექნოლოგიური უშიშროების სპეციალური თეორია** და სხვ.

უშიშროების სპეციალური თეორიების როლს ასრულებს აგრეთვე: **სამედიცინო მეცნიერებები, სამხედრო მეცნიერებები, სეისმოლოგია, რადიოლოგია, შრომის უსაფრთხოების თეორია, რისკის თეორია, კატასტროფის თეორია და სხვ.** მათი მიზნები და ამოცანებია: საფრთხის წყაროების შესწავლა, სახიფათო სიტუაციების პროგნოზირება **კონკრეტულ სფეროში**; ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება საფრთხეებისა და მუქარების მოსაგერიებლად **კონკრეტულ სფეროში**; ეროვნული უშიშროების სისტემების სტრუქტურისა და ფუნქციების განვითარება **კონკრეტულ სფეროში** და ა.შ.

მთლიანობაში ეროვნული უშიშროების თეორიასთან მჭიდრო კავშირშია გამოყენებითი, სოციალური და ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერებები, ტექნიკური მეცნიერებები, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები და სხვ.

საქართველოში არსებული მეცნიერებების სწავლის სფეროების დადგენილი კლასიფიკატორიდან[1] უშიშროების თეორიის ძირითადი ორიენტირები მაგალითად, შეიძლება იყოს შემდეგ სფეროებში: სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (031) - ეკონომიკა (0311), პოლიტიკის მეცნიერება (0312.1.1), საერთაშორისო ურთიერთობები (0312.1.2), დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა (0312.2.1), უსაფრთხოების [2] კვლევები (0312.2.2), ფსიქოლოგია (0313), სოციოლოგია (0314.1.1); სამართალი (0421); ბიოლოგია (0511), ეკოლოგია (0521.1.2); ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (06) - კომპიუტერის გამოყენება (0611), ინფორმატიკა (0613.1.1), კომპიუტერული მეცნიერება (0613.1.2), ინფორმაციული სისტემები (0613.1.3); თავდაცვა და უსაფრთხოება[3] (1031.1.1), სამხედრო მეცნიერება (1031.1.2) და სხვ. მათ ინტერესებშია, პირველ რიგში, ეროვნული უშიშროების დარგობრივი თეორიის ზემოაღნიშნული იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიება, შემუშავება.

გარკვეულ მსოფლმხედველობრივ პოზიციებსა და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების არსენალზე დაყრდნობით, ეროვნული უშიშროების თეორია იკვლევს მის კომპეტენციასთან დაკავშირებულ პრობლემათა მთელ სპექტრს. მათ შორის **ყველაზე მნიშვნელოვანია უშიშროების ყველა თეორიისთვის საწყისი, ფუნდამენტური კონცეფციების არსის გარკვევა**.

ეროვნული უშიშროების თეორიაში აქტიურად გამოყენებადი ცნებებია: „უშიშროება“, „საფრთხე“, „საშიშროება“ „მუქარა“, „გამოწვევა“, „რისკი“, „საფრთხის წყარო“, „საფრთხის ობიექტი“, „საფრთხის დონე (ხარისხი)“, „დაცულობა“, „უშიშროების დონე (ხარისხი)“, „უშიშროების სუბიექტი და ობიექტი“, „უშიშროების მექანიზმები“, „უშიშროების ფაქტორები“, „უშიშროების ტექნოლოგიები“, „ეროვნული უშიშროება“, „შრომის უსაფრთხოება“, „ტექნიკური უსაფრთხოება“ და სხვ.

უდავოა, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის, მის სტრუქტურაში შემავალი უშიშროების ქვესისტემების კერძო სტრატეგიების მსოფლმხედველობის ასევე მეთოდოლოგიური ზოგადი საკითხების განიხილვა და განვითარება არის ეროვნული უშიშროების თეორიის საფუძველი, საიდანაც გამომდინარეობს ქართველ მკვლევართა წინაშე მდგარი ეროვნული უშიშროების თეორიის ძირითადი ამოცანები და კვლევის საკითხები:

[1] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, 12/04/2019. [12.09.2022]

[2] სამწუხაროდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებაში (№69/ნ; 2019 წლის 10 აპრილი) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ წმინდა ტექნიკური კონცეპტუალური გაგების ტერმინი „უსაფრთხოება“, რამდენიმე ადგილას გამოყენებულია არასათანადო კონტექსტში, მათ შორის, გამოყენებულია სოციალური მეცნიერებების ბლოკში და „უშიშროების კვლევების“ (Security Studies) მაგივრად წერია „უსაფრთხოების კვლევები“ (სხვათა შორის, არ არის გათვალისწინებული ინგლისურ ენაზე თარგმნილი ტერმინების Security-სა და Safety-ს ინგლისურ ენაში გამოყენების კონტექსტიც).

[3] ამ შემთხვევაში ტერმინი სწორად, ტექნიკური უსაფრთხოების კონტექსტშია გამოყენებული: 1031.1.1 თავდაცვა და უსაფრთხოება - Defence and Safety

- ეროვნული უშიშროების პრობლემებთან დაკავშირებული სამეცნიერო ცოდნის მიმოხილვა, კლასიფიკაცია, მსოფლმხედველობრივი საფუძვლის, განვითარების დონის, უშიშროების სპეციალიზებული თეორიების თავისებურებების დადგენა; მათ შორის, თავად ეროვნული უშიშროების თეორიის და მის მიერ გადასაჭრელ ამოცანათა არსებობის აუცილებლობისა და შესაძლებლობის დასაბუთება;

- ეროვნული უშიშროების ობიექტისა და კვლევის საგნის მეტი ეფექტური დამუშავებისათვის სპეციალიზებული თეორიების მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრა (კვლევის მიდგომების, საშუალებების, მეთოდიკის და სხვ. შერჩევა და შეფასება);

- ეროვნული უშიშროების სპეციალიზებული თეორიების მიერ გამოყენებული ფუნდამენტური ცნებების ანალიზი და განსაზღვრა და, შესაბამისად, ამ ცნებებით ასახული მოვლენების ზოგადი დახასიათებაც;

- წარმოშობის წყაროდან გამომდინარე (სოციალურ-პოლიტიკური, ბუნებრივი, ტექნოგენური თუ საწარმოო ხასიათის) სოციალური ძალებითა და ფაქტორებით წარმოშობილი საფრთხეების, მუქარებისა და რისკების ბუნებისა და არსის პოლიტოლოგიური (სოციოლოგიური, ფილოსოფიური და სხვ.) დახასიათება, უშიშროების სოციალურ-პოლიტიკური კონცეფციების შემუშავება, უშიშროების სისტემებისა და მისი უზრუნველყოფის მეთოდების შედარებითი ანალიზი.

საკუთარი თეორიული მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ **ეროვნული უშიშროების თეორია მოქმედებს როგორც კვლევის სპეციალური სფერო, რომელიც მიმართულია გადაკვეთაში მყოფი ერთობლივი, კომპლექსური პრობლემის გადაჭრაზე**.

ეროვნული უშიშროების თეორიასთან მიმართებაში მეთოდოლოგიურ ფუნქციებს ახორციელებს:

1. სისტემების ზოგადი თეორია (Systems theory). ავსტრიელი ბიოლოგის ***ლუდვიგ ბერტალანფის*** (Ludwig von Bertalanffy) შექმნილი ეს თეორია მას ყველაზე მეტად ესადაგება, რადგან იგი ეფუძნება კვლევის ობიექტების, მოვლენების ან პროცესების ერთიან ხედვას და წარმოადგენს ყველაზე უნივერსალურ და ადეკვატურ მეთოდს ეროვნული უშიშროების ანალიზისა და გამოკვლევისათვის. რამდენადაც მისი ობიექტი იგივე სისტემა და ქვესისტემებია (ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან). ეროვნული უშიშროების თეორია წყვეტს ამ სისტემების სტაბილურობის, დაცულობის, შენარჩუნების, უშიშროების პრობლემებს მათზე დესტრუქციული ძალების (ფაქტორების) ზემოქმედების პირობებში;

2. კონფლიქტოლოგია. ვინაიდან, სოციალური პროცესის შექმნასა და განვითარებაში არსებობს დესტრუქციული ზეგავლენა, რაც გარკვეულწილად დაკავშირებულია კონფლიქტურ სიტუაციებთან;

3. მართვის ზოგადი თეორია. მეცნიერება, რომელიც სწავლობს მართვის პროცესებს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში, პრინციპებს, შინაარსს, მმართველობითი ურთიერთობების ფორმებს და მათი წარმოშობისა და განვითარების კანონებს. მართვის თეორიაში გამოყენებული ძირითადი ცნებები და კატეგორიებია: მართვა, სისტემა, სუბიექტი, ობიექტი, მართვის მიზანი და პრინციპები, მმართველობითი ურთიერთობები, მეთოდები,

ფუნქციები და მართვის პროცესი. როგორც მთლიანად საზოგადოება, ისე ნებისმიერი ქვესისტემა მის ჩარჩოებში, არის მისი ჩამომყალიბებელი კომპონენტებით რაოდენობრივად და ხარისხობრივად გამორჩეულად რთული და მრავალფეროვანი, რომელთათვისაც დამახასიათებელია ასეთივე მრავალფეროვანი ურთიერთქმედება, ურთიერთკავშირი, საკუთარი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივ სისტემაში, ფუნქციის შესრულებაში, ურთიერთქმედების ხასიათში გამორჩეულად დიდი რაოდენობის სხვადასხვა დესტრუქციულ ფაქტორთან. შესაბამისად, **ეროვნული უშიშროებისათვის საფრთხეების, მუქარებისა და რისკების პრევენცია ვერ მიიღწევა პროცესებზე გარკვეული საინფორმაციო და მმართველობითი ზემოქმედების გარეშე**.

დიალექტიკის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა არის რეალობისადმი მიდგომა, მისი ურთიერთგამომრიცხავი განვითარებისა და მრავალფეროვანი კავშირების გათვალისწინებით. პრაქტიკის წინააღმდეგობებისა და უშიშროების საკითხების ამსახველი თეორიის გამოვლენა და ანალიზი, რომელიც ასახავს მას, საფუძვლად უდევს კვლევის მთელ პროცესს და განსაზღვრავს სხვა მეთოდების ბუნებას.

ეროვნული უშიშროების თეორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **ისტორიული და ლოგიკური მიდგომების შეხამებას,** როდესაც პრობლემების თეორიული ანალიზი მუდმივ კავშირშია ისტორიულ ფაქტებთან, ხოლო საფრთხეების, მუქარებისა და რისკების შესახებ შეხედულებების ისტორიის განხილვა ეფუძნება გარკვეულ თეორიულ მოდელებს, განსახილველი პრობლემების ლოგიკურ დამუშავებას.

ეროვნული უშიშროების თეორია **წარმოუდგენელია სისტემური ანალიზის მეთოდების გამოყენების გარეშე** [8]. ამ მეთოდების არსენალი საკმაოდ ფართოა და თითოეულ მეთოდს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე გამოყენების სფერო, როგორც ობიექტის ტიპთან, ისე მისი კვლევის სტადიასთან მიმართებით. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი:

სკრიფტინგის – სცენარების მეთოდი (Scripting method); **მიზნის ხის მეთოდი**[4] (a Goal Tree) არსებობს საბოლოო მიზანი, რომელიც იყოფა ქვემიზნებად, ქვემიზნები – პრობლემებად და ა.შ., ანუ დაშლა ამოცანებად, რომელთა გადაჭრაც შეგვიძლია [2]; **მორფოლოგიური ანალიზის მეთოდი** (Method of morphological analysis);[5] **საექსპერტო შეფასების მეთოდი** (Evaluation); **ალბათური ანალიზის მეთოდი** (Probabilistic method); **სტატისტიკური ანალიზის მეთოდი** (Statistical method) – მათემატიკური მოლოდინის თეორიები, თამაშები და ა.შ.; **კიბერნეტიკული ანალიზის მეთოდი** (Cybernetic method) – შავი ყუთის ობიექტი; **ვექტორული ოპტიმიზაციის მეთოდი** (Vector optimization); **ქსელური**

[4] ებრაელი ფიზიკოსისა და ფილოსოფოსის *ელიაჰუ გოლდრატის* (Eliyahu M. Goldratt) სისტემების შეზღუდვების თეორია (Theory of constraints; TOC), რომელიც ჩამოაყალიბა 1984 წელს გამოცემულ წიგნში „მიზანი“ (The Goal), აქედან მიზნების ხის მეთოდი (a Goal Tree) განავითარა *უილიამ დეტმერმა* (Willam Dettmer) წიგნში „ლოგიკური აზროვნების პროცესი“ (2007).

[5] პრობლემების მოგვარების გზები თავად პრობლემებში იმალება. სწორედ ამ იდეას ეფუძნება მეთოდი „მორფოლოგიური ყუთი“, რომელიც შვეიცარიელმა ასტროფიზიკოსმა *ფრიც ცვიკიმ* (Fritz Zwicky, 1898-1974) განავითარა.

ანალიზის მეთოდი (Networking method); **მატრიცული (სტრუქტურული) ანალიზის მეთოდი** (Matrix methods); **ეკონომიკური ანალიზის მეთოდები** (Methods of Economic Analysis) და სხვ.

ეს მეთოდები აუცილებელია მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრისას – მეცნიერული ცოდნის სისტემაში უშიშროების ზოგადი და სპეციალიზებული თეორიების არსის, ადგილის, როლის გარკვევა, საწყისი ცნებების შინაარსისა და კორელაციის განსაზღვრა. მეტად საჭიროა ისინი საფრთხეების, მუქარებისა და რისკების ანალიზისა და უშიშროების სისტემების (თეორიული მოდელების) შედარებისთვის.

ეროვნული უშიშროების თეორიაში სისტემატური მიდგომის იდეებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოიყენება სხვა სამეცნიერო მეთოდებიც სხვადასხვა კომბინაციაში: **ემპირიული** – დაკვირვება, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, გამოკვლევა და სხვ.; **თეორიული** – ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, შედარება, განზოგადება, სააზროვნო ექსპერიმენტი, ფორმალიზაცია, სხვადასხვა სახის მათემატიკური ტექნიკა და ა.შ.

ასევე უნდა აღინიშნოს ინდივიდუალური და კოლექტიური ხასიათის ე.წ. **ევრისტიკული მეთოდები**, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წყდება პროგნოზირებადი ან კონსტრუქციული ამოცანები, ხორციელდება ახალი იდეების, მიდგომებისა და გადაწყვეტილებების ძიება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში.[6]

ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევაში გამოიყენება მეთოდები, რომლებიც **დაკავშირებულია გნოსეოლოგიასთან, აქსიოლოგიასთან, სტრატიფიკაციასთან, კულტუროლოგიასთან** და სხვ.

გნოსეოლოგიის ფუნდამენტური პრობლემა არის გარესამყაროს შეცნობადობის საკითხი. ეროვნული უშიშროების თეორია ფორმირდება ძირითად კითხვაზე დადებითი პასუხიდან გამომდინარე. ამასთანავე, არ ხდება არც ინტუიტივიზმის, არც შეუცნობელი სფეროს გრანდიოზულობის უარყოფა, რომლის თანდათანობითი შეცნობა ახდენს სამყაროს შესახებ ადამიანის წარმოდგენების რეგულარულ ტრანსფორმირებასა და მეცნიერული პარადიგმების გადაფორმატირებას. მეთოდოლოგიის გნოსეოლოგიური ასპექტი: გამოააშკარავებს პროცესებისა და მოვლენების სიღრმისეული არსის შემეცნების თავისებურებებს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში; აჩვენებს ამ რთული პრობლემატიკის შესწავლისას სხვადასხვა სუბიექტის მიერ დაშვებულ ტიპურ შეცდომებს; - ახდენს ორიენტირებას შემეცნების ამ სპეციფიკურ სფეროში რეალობის ჩაწვდომის საიმედო საშუალებების ძიებაზე (ხელს უწყობს მოჩვენებითობისგან რეალობის გარჩევის უნარის ჩამოყალიბებას).

მეთოდოლოგიის **აქსიოლოგიური ასპექტი**: იძლევა ეროვნული უშიშროების თეორიის სოციალური ფასეულობის გააზრების საშუალებას; განმარტავს მოცემული თეორიის ფორმირების წინა პირობის შემადგენელ სოციალურ შეკვეთას; შემოფარგლავს ფასეულობათა წრეს, რომლის დაცვასა

[6] ევრისტიკული მეთოდი გულისხმობს პრობლემის/ამოცანის პირობების ანალიზს, ძირითადი პრობლემის კერძო ასპექტებად დაყოფას, მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა-შეფასებას, პრობლემის გადაწყვეტის ჰიპოთეზის ჩამოყალიბებასა და გადაჭრის თანამიმდევრული ეტაპების დადგენას.

და განვითარებაზე არის ორიენტირებული ეს მეცნიერული მიმართულება.

ეროვნული უშიშროება არის არსებობის, ასევე, სახელმწიფოს, საზოგადოების, პიროვნების ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების პირობა. ეროვნული უშიშროების მოშლა იწვევს სახელმწიფოს დეგრადაციას ან ნგრევას, სოციალურ დეზორგანიზაციას, მოქალაქეების მიერ ეროვნული იდენტურობის დაკარგვას. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა არის სახელმწიფოსა და საზოგადოების მთავარი ამოცანა, ვინაიდან ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის გარეშე მოქალაქეთა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ყველა მიღწევა იწყებს მუშაობას არა მათ, არამედ სხვა სახელმწიფოთა სასარგებლოდ. ეროვნული სახელმწიფოების პრინციპით კაცობრიობის სტრუქტურირებაზე დაფუძნებულ საერთაშორისო ურთიერთობათა ეროვნული უშიშროების თეორიის სამიზნეა თანამედროვე პარადიგმაში სოციალური ყოფის გლობალური პრობლემის გადაწყვეტა – ოპტიმალურ კულტურულ და ბუნებრივ გარემოში ადამიანების ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა.

კულტუროლოგიური ასპექტი აჩვენებს, რომ: კულტურის კორექტული განვითარება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ინსტრუმენტია (მაშინ, როცა პათოლოგიური ტრანსფორმაცია შესაძლოა გახდეს მისი დაკარგვის ფაქტორი); საზოგადოების კულტურული განვითარების გარკვეულ დონეს შეესაბამება ეროვნული უშიშროების ეფექტური უზრუნველყოფის ხელშემწყობი გარკვეული ღონისძიებები. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავებისას ნეგატიური შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც ჩამორჩენა სოციუმის კულტურული დონის განვითარებისგან, ასევე, გასწრებაც (ზომების მიღება, რომელთა სარეალიზაციოდ საზოგადოება მზად არ არის, ჯერ ვერ „მომწიფდა“ ამ დონეზე).

ეროვნული უშიშროების თეორიის წინაშე ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქვეყნის უშიშროების დაკარგვის დასაწყისის მაჩვენებლების გამომუშავება. რაც უფრო ადრე გაიგებს საზოგადოება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის არასათანადო დონეზე ყოფნის შესახებ, მით მეტია ამ საქმიანობის დეფექტებისა და ხარვეზების აღმოფხვრის შანსები ქვეყნისთვის მინიმალური დანაკარგებით.

სოციალური **სტრატიფიკაცია** არის სოციალურ ჯგუფებად, ფენებად, კლასებად საზოგადოების სტრუქტურირების პროცესი. ერთდროულად, სოციალური სტრატიფიკაცია – არის ფუნდამენტური სოციოლოგიური თეორია და სოციოლოგიურ გამოკვლევათა გლობალური მიმართულება. სოციალური სტრატიფიკაციის ძირითად დებულებათა რიცხვს განეკუთვნება: საზოგადოებაში სოციალური განშრევების თეორიული საფუძვლები; სხვადასხვა სოციალური სტრატის გამოყოფის კრიტერიუმები; სოციალური სტრუქტურების თეორიები; სოციალური მობილურობის კონცეფცია (ერთი სტრატიდან მეორისკენ აღმავალი და დაღმავალი გადაადგილება). სტრატიფიკაციულ თეორიათა უმეტესობის საფუძველი არის მრავალგაზომვადი სტრატიფიკაციის კონცეფცია, რომლის არსი არის ყველაზე განსხვავებული კრიტერიუმების მეშვეობით საზოგადოების სტრატიფიცირების შესაძლებლობა. ეს კონცეფცია მეტად პროდუქტიული აღმოჩნდა კრიმინოლოგიური კვლევების თვალსაზრისითაც.

ეროვნული და საერთაშორისო უშიშროების დიალექტიკური ურთიერთდამოკიდებულება

გლობალური მასშტაბის პრობლემების წინააღმდეგ **ბრძოლის ეფექტური მექანიზმები თანდათან კოლექტიურ შინაარსს იძენს, რადგან ავტონომიურად ინდივიდუალური და ეროვნული ხასიათი უკვე აშკარად ვერ შეესაბამება არსებულ რეალობას**. შესაბამისად, **საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე გაჩენილმა პრობლემებმა საფრთხის ახლებურად გააზრება მოითხოვა.** თუმცა ჯერ კიდევ მყარად მუშაობს აქამდე დამკვიდრებული განმარტებები: ინდივიდუალური ეროვნული უშიშროება (ქვეყნის უნარი, დამოუკიდებლად დაიცვას საკუთარი ტერიტორია, გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად, მათ შორის - სამხედრო გზით); კოლექტიური უშიშროება (ქვეყნების გაერთიანება საერთო სახის სამხედრო რისკებისა და გამოწვევების წინააღმდეგ); კოლექტიური თავდაცვა (ქვეყნების გაერთიანება სხვა ქვეყნებისგან თავდაცვის მიზნით: ნატოს მოდელი, ტრანსატლანტიკური სოლიდარობის პრინციპი); სტაბილურობის მიღწევა საერთო ძალისხმევით (მაღალი დონის კოლექტიური უშიშროების გლობალური სცენარის შედარებით იდეალური ვარიანტი).

ბოლო პერიოდში იკვეთება, რომ ეროვნული და საერთაშორისო უშიშროების საკითხებს ურთიერთობაში მიეცა თავისებური დიალექტიკური ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. ამას ხელი შეუწყო ინფორმაციული ეპოქის მიერ ინიცირებული შეუკავებელი გლობალიზაციის პირობებში საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის ზღვრის გარკვეულწილად ერთგვარმა გაბუნდოვანებამ. ერთი რამ ცხადი ხდება, რომ **21-ე საუკუნეში ცალკე აღებული ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, საკუთარ ეროვნულ უშიშროებას ვერ უზრუნველყოფს საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილ სივრცეში**.

დღეს აქცენტები კეთდება საერთაშორისო აქტორების ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე ეფექტური საერთაშორისო უშიშროების სისტემების შექმნაზე. საერთო საფრთხეებთან საბრძოლველად იქმნება ერთიანი სტრატეგია, რომლის მიხედვით, ქვეყნები თანხმდებიან გაერთიანდნენ აგრესორისგან თავდაცვის მიზნით და გაზარდონ რისკების, საფრთხეების, გამოწვევებისა და საშიშროებებისგან თავდაცვისუნარიანობა. ქვეყნები თავდაცვის დახმარებას აღუთქვამენ ერთმანეთს, თუკი რომელიმეზე განხორციელდება თავდასხმა სხვა ქვეყნის მხრიდან, რომელიც არ არის ამ ორგანიზაციის წევრი.

არსებობს კოლექტიური თავდაცვის განსხვავებული განმარტებები, თუმცა მათი მთავარი აზრი მაინც ერთია და გულისხმობს ძალების გაერთიანებას საერთაშორისო სტაბილურობის დასამყარებლად: პოლიტიკური, რეგიონული ან გლობალური უშიშროების უზრუნველყოფა, რომელშიც სისტემის თითოეული ქვეყანა აღიარებს სხვა ქვეყნების უშიშროებას და იღებს ვალდებულებას, მოახდინოს შესაბამისი კოლექტიური რეაგირება საფრთხეებზე, საშიშროების შემცველ კონფლიქტებსა და დარღვევაზე.

დღეს მოდაშია კოლექტიური უშიშროების მოდელებიდან **რიჩარდ კოენის** (Richard Cohen) ვერსია [1]. მას აქვს კოლექტიური უშიშროების, კოლექტიური თავდაცვისა და ახალი თაობის კონფლიქტების მოსაგვარებლად თანამშრომლობის ახლებური მიდგომის სინთეზის სახე. თანამშრომლობითი უშიშროების კოენისეული კონცეფცია მოიცავს შემდეგ ძირითად ინსტრუმენტებს: საერთო საფრთხეების აღიარება (ყველაზე მტკიცე განმაპირობებელ

ფაქტორად საერთო საფრთხის აღქმა უნდა ჩაითვალოს. გაცნობიერება იმისა, რომ ერთმანეთის გარეშე საერთო საფრთხეს ვერ გაუმკლავდებიან); მზარდი ურთიერთგაგება საერთო ფასეულობებზე (კავშირი უნდა იყოს დაფუძნებული მზარდ ურთიერთგაგებაზე, საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებზე. უნდა იყოს მეტი იდეოლოგიური თანხვედრა, ვიდრე დაპირისპირება); ინსტიტუციური ფორმატი (უნდა შეიქმნას ქვეყნებს შორის ურთიერთობების ინსტიტუციური ჩარჩო, მიეცეს მას თანამშრომლობისათვის მტკიცე ინსტიტუციური ფორმა. პოტენციური აგრესორი საკმაოდ ძლიერი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას მოერიდება).

რიჩარდ კოენი კოოპერატიული უშიშროების თავის ორიგინალურ მოდელში მხარს უჭერს კონკრეტულ ქმედებებს, რომლებიც ამ კონცეფციას პრაქტიკაში გამოიყენებს და ამტკიცებს, რომ კოოპერატიული უშიშროების ორგანიზაციის საუკეთესო მაგალითია დღევანდელი ნატო. ის აცხადებს, რომ ნატო გარკვეულწილად მაინც კოლექტიური თავდაცვის სისტემაა, მაგრამ ნატოს ფუნქცია მხოლოდ გარე საფრთხეების მოგერიებაა. კოენი იკვლევს ნატოს მრავალფეროვან ფუნქციებს და წარმოაჩენს საკუთარ ნორმატიულ პერსპექტივას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს ნატო მომავალში, როგორც კოოპერატიული უშიშროების ორგანიზაცია და მოუწოდებს ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას. თუმცა, კოენი ასკვნის, რომ სავარაუდოდ, კოოპერატიული უშიშროების სისტემების გაფართოება შეზღუდული იქნება საერთო ძირითადი ღირებულებებისა და გეოსტრატეგიული ინტერესების ნაკლებობის გამო.

ასევე საინტერესოა **მაიკლ მიჰალკას** (Michael Mihalka) კონცეფიაც [1]. მიჰალკა აფართოებს კოოპერატიული უშიშროების ანალიზს და ცდილობს, დააყენოს უფრო მყარ თეორიულ საფუძველზე. ის აკვირდება კოოპერატიული უშიშროების ორგანიზაციების ისტორიას და ამტკიცებს, რომ ისინი გაჩნდნენ მე-19 საუკუნის დასაწყისში და ასევე აპროეცირებს ამ კონცეფციას ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მიღმა, ავრცელებს მას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციაში (ASEAN). მიჰალკა აღნიშნავს, რომ ეუთოსა და ASEAN-ის ბევრი წევრი ნახევრად ავტორიტარული ან გარდამავალი დემოკრატიული ქვეყნებია და არა მყარი ლიბერალური, დემოკრატიული სისტემები. იმ ქვეყნებსაც კი, რომლებსაც არ აქვთ საერთო ღირებულებები, შეუძლიათ ერთმანეთთან თანამშრომლობა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მმართველი ელიტა დარწმუნებული იქნება საკუთარი სახელმწიფოების საერთო მომავალში და თვლიან, რომ ერთობლივი ძალისხმევა მათ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს, ვიდრე მარტო თამაში. ამასთან ერთად მიჰალკა ამბობს, რომ შეზღუდულია არადემოკრატიული ქვეყნების თანამშრომლობის შესაძლებლობა. მათ შეუძლიათ წარმატებით აირიდონ ომები ერთმანეთთან (როგორც ASEAN-ის შემთხვევაში), მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეძლებენ ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებას სტაბილურობისათვის რეგიონულ საფრთხეებთან დაკავშირებით. მიჰალკა ამტკიცებს, რომ კოოპერატიული უშიშროების მომავალი წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ ლიბერალური დემოკრატიის გავრცელებაზე, არამედ არადემოკრატიულ სახელმწიფოებთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავებასა და მათში „უშიშროების საზოგადოების“ განცდის ჩანერგვაზე, რომელიც ემსახურება ყველას ინტერესს. ამრიგად, კოენისგან განსხვავებით, მი-

ჰალკა ასკვნის, რომ „თანამშრომლობითი უშიშროება შესაძლებელია მცირე საერთო ღირებულებების მქონე სახელმწიფოებს შორისაც კი“.

ეროვნული უშიშროების თეორიის თანამედროვე კონცეფციების შემუშავების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის თეორიული გააზრება სიტყვათა ბმულისა **„უშიშროება - განვითარება“** (security-development nexus) [7]. სიტყვათა ეს ბმული ,,უშიშროება - განვითარება", როგორც სამეცნიერო კატეგორია, პირველად აკადემიურ დისკურსში შემოიტანა შვედმა მკვლევარმა **ბიორნ ჰეტნემ** (Björn Hettne). მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ყურადღება გადატანილ იქნა სახელმწიფო უშიშროებიდან ინდივიდის უშიშროებაზე, რომლის მთავარი სლოგანი გახდა „უშიშროება განვითარების გზით და არა იარაღით“.

დასკვნა

ეროვნული უშიშროების თეორია თავის მხრივ არის მეთოდოლოგიური საფუძველი უშიშროების სპეციალიზებული თეორიების შემუშავებისათვის. ამ თავისებურებასთან ერთად, ისიც ფაქტია, რომ ეროვნული უშიშროების თეორია აუცილებლად ეყრდნობა საშინაო და საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების მარეგულირებელ სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს (სახელმწიფოს კონსტიტუცია, გაეროს წესდება, უშიშროების საკითხებზე საერთაშორისო და რეგიონული აქტები და სხვ.). ეროვნული უშიშროების თეორია საგნის, ამოცანებისა და სამეცნიერო ცოდნის სისტემაში საკუთარი ადგილის მიხედვით იყენებს კვლევის მეთოდთა მისთვის მისაღებ კომპლექსს. გამოყენებული მეთოდების ძირითად, სოციოპოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენს რეალიზმის, პრაგმატიზმისა და დიალექტიკის იდეები და დამოკიდებულებები. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შეფასებების რეალიზმი, ობიექტურობა და კონკრეტულობა, პრაქტიკაზე დაყრდნობა და მისი როლის წამყვანობა ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საკითხების განხილვისას. ეროვნული უშიშროების კვლევის მეთოდოლოგიურ პრინციპად, როგორც წესი, ძირითადად გვევლინება სისტემური მიდგომა (ცხადია, ასევე არსენალშია ფაქტორული, ინტერდისციპლინური, პოლიტიკურ-კულტურული, შედარებითი ანალიზი, სცენარული, ისტორიულობის პრინციპი, ცოდნის მიღების მეთოდების გამოყენების თანამიმდევრობა, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების ერთობლიობა და სხვ.). სისტემური ანალიზის მეთოდოლოგია, სპეციფიკა განისაზღვრება იმით, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს ობიექტის მთლიანობისა და მისი უზრუნველმყოფი მექანიზმების გამომჟღავნება-ნათელყოფაზე, რთული ობიექტის მრავალფეროვანი ტიპის კავშირების გამოვლენასა და მათ ერთიან თეორიულ სურათად წარმოდგენაზე.

ეროვნული უშიშროების საერთო სისტემის სტრუქტურული და ფუნქციური კომპონენტების ხედვის გააზრება, მისი არსის გაგება განსაზღვრავს ეროვნული უშიშროების პრობლემების კვლევის მეთოდოლოგიურ მართებულობას, მის დასაბუთებულობას.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ქართულ სისტემას უსათუოდ სჭირდება სათანადო სამეცნიერო და მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება. საქართველოს ეროვნული უშიშროების სისტემის წარმოშობისა და განვითარების პერიპეტიები, სოციოპოლიტიკური ასპექტი ხელს უწყობს

მისი ზოგადი კანონზომიერებების აღქმას, აგრეთვე, მათი გარდაქმნის სპეციფიკას სხვადასხვა პირობებში. საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს რეფორმირებული საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ყველა სუბიექტის როლი და მნიშვნელობა, სწორად განისაზღვროს ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეროვნული მიზნები და ძირითადი მიმართულებები, დანახული იქნას პოლიტიკა, როგორც ეროვნული მიზნების უშიშროების უზრუნველყოფის სუბიექტების კონკრეტული საქმიანობა, დააკვირდეს ქართული სახელმწიფოს წარმოშობას და ნამდვილ როლს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში.

ეროვნული და საერთაშორისო უშიშროების დიალექტიკა გვიჩვენებს, რომ დღეს ეროვნული უშიშროების კონცეფცია უნდა განიხილებოდეს საერთაშორისო ან გლობალური უშიშროების ნაწილად. თანამედროვეობას ახასიათებს მრავალი გლობალური პრობლემა, რომელთა მოგვარებაც მარტო შეუძლებელია. ისინი ითხოვენ ერთობლივ ძალისხმევას მსოფლიოს სახელმწიფოების მხრიდან. ტენდენციიდან გამომდინარე ჩანს, რომ პერსპექტივაში ეროვნული უშიშროების ტრადიციული კონცეფციის გლობალური უშიშროების კონცეფციით ჩანაცვლების პროცესს ალტერნატივა შეიძლება არც ჰქონდეს.

ლიტერატურა

1. Cohen, R., Mihalka, M. (2001). *Cooperative Security: New Horizons for International Order.* George C. Marshall European Center for Security Studies.;
2. Dettmer, W. (2007). *The Logical Thinking Process: A Systems Approach to Complex Problem Solving.* ASQ Quality Press.;
3. Feonichev, A., Meleshin, K. (2021). Theoretical and Methodological Features of the Analysis of the Basic Concepts of the Modern Theory of National Security. *Administrative consulting, 1*, 32–42. (In Russian);
4. Kuprashvili, H. (2022). Functional Anatomy of the Staff of the National Security Council of Georgia. *Academia Letters.* https://doi.org/10.20935/AL4502.;
5. Government of Georgia. (2021). *The national-level conceptual document Georgia's National Cybersecurity Strategy for 2021-2024 and its Action Plan.* (Document number: 482); https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0 (In Georgian);
6. Kuprashvili, H. (2022). *The National Security of Georgia.* Tbilisi: Universali. (In Georgian);
7. Inernational Peace Academy. (2004). *The Security-Development Nexus: Conflict, Peace and Development in the 21st Century.*;
8. Wilson, T. L., & Hershey, D. A. (1996). The Research Methods Script. *Teaching of Psychology, 23*(2), 97-99. https://doi.org/10.1207/s15328023top2302_5.

UDC 351.746; 30
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-4-154-166

Peculiarities of the Research Methodology of the Theory of National Security

Henri Kuprashvili Department of Political and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava Str.
E-mail: h.kuprashvili@gtu.ge

Reviewers:
T. Kiknadze, Doctor of Politicial Sciences, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: tamara_kiknadze@yahoo.com
V. Modebadze, Doctor of Social Sciences, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: modebadzevaleri07@gtu.ge

Abstract. The complex of concepts describing unified system of national security, threats, risks, challenges, and the resisting counter-system, is the most problematic aspect of the methodology of ensuring and studying national security. It should be clarified what sphere is given to the theory of national security in the system of scientific knowledge. It is important to determine its relationship with both the specialized theories of security and social, humanitarian, natural science, etc. It should be specified: which field of scientific knowledge does the theory of national security belong to, which sciences are its philosophical and methodological foundations, which sciences does it interact with, and for which it acts as an ideological and methodological landmark. It is of great importance to fully understand the general theory of national security, because it allows to clearly outline the mechanisms and processes specific to the field of national security of Georgia.

Keywords: conflictology; general theory of management; general theory of systems; methodology; national security; system of scientific knowledge; social system; specialized theory.

განხილვის თარიღი 27.06.2023
შემოსვლის თარიღი 30.06.2023
ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.12.2023